მესამე ადგილი

მარიამ დეკანოიძე

საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის

X კლასის მოსწავლე

”სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი”

(მინიატურა)

”თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა”

/სპინოზა/

დღესაც იქით გაფრინდება. არც კი იცის, რატომ, უკვე ჩვეულებად ექცა მისი ნახვა, ანდა რა გასაკვირია-ის ხომ მისი ტყუპისცალია, თუმცა... სრულიად განსხვავებული... კიდევ ერთხელ ცდის, ამჯერად-უკანასკნელად...

აი, ისიც... რა მედიდურად უჭირავს თავი! ახსოვს, ნეტავ, მართვე რომაა? როგორ ყოყლოჩინობს, მძიმე-მძიმედ ადგამს ნაბიჯებს... გალიაში. მერედა გალიას აღარ იკითხავთ? მისი კაშკაში შორიდანაც მოსჭრის კაცს თვალს.

- არ გინდა, კარი გაგიღო, რომ გარეთ გამოვფრინდე?
- მერედა, რა მინდა გარეთ, შენსავით მათხოვრულად, რომ ვიცხოვრო და ლუკმა პურისათვის მთელი დღე ვიხეტიალო?
- შენ ამას ვერ გაიგებ, თუმცა ძალიან მინდა, რომ გაიგო. მაინც რამ შეგცვალა ასე? ნუთუ ასე ტკბილია ოქროს გალია?
- ???
- მე მივფრინავ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემსას მივაღწევ-დავბრუნდები.
- შენი ნებაა, როგორც გენებოს. იცოდე, ტყუილად სწირავ თავს!

მართვემ აიხედა, უნდოდა თვალებში ჩაეხედა ტყუპის ცალისთვის, გაეგო, ოდნავ მაინც თუ არ სწყდებოდა გული, მაგრამ ოქროს ლაპლაპა თვალი მოსჭრა, ვერაფერი გაარჩია, გულდაწყვეტილმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ცაში აიჭრა.

◆ ◆ ◆

გალიაში: ”თითქოს სიზმარში მიცხოვრია... ცხოვრების ბილიკს ამაყად მივუყვებოდი, უზრუნველად, ფარვანასავით მიველტვოდი კაშკაშა ცეცხლს, ვიცი, რატომაც - იქ ხომ ის იყო, რაშიც ცხოვრების აზრს ვხედავდი-დიდება. მივიღე კიდეც ის, რისკენაც მივილტვოდი. თუმცა... განა ეს გამართლებაა, როცა არასოდეს გიგრძვნია ცრემლი, ან წრფელი გრძნობა?!”

”დღისით დაქანცულს, ღამე მწამლავს ფიქრების შხამით,

არ მიწერია მოსვენება დღისით და ღამით”

/შექსპირი/

ცაში: ”უნდა მივასწრო, უნდა შევძლო, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს!..ნეტავ, ”ის” როგორ არის ბედნიერი? აბა ”რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?”/ნ.ბარათაშვილი/. მას ხომ თავისუფლების სიყვარულმა ვერ მისცა მოსეს კვერთხი და დავითის შურდული... ანკი, როგორ მისცემდა, როცა სული ოქროსფერი ზანზალაკებით ჰქონდა სავსე, ”სხვის ლაშქარში უფრო მონდომებით იბრძოდა, ვინაიდან უცხოთა წინაშე თავი გამოჩენა უყვარდა”. /ჯ. ქარჩხაძე/.

მე კი ... არ მაშინებდა არც მწვერვალი და არც უფსკრული, რადგან ვიყავი თავისუფალი... დიახ, ”თავის” ”უფალი”... ღმერთო, რა დიდებულია!..”

”გასწორდი წელში, ასწიე მაღლა ამაყად თავი, მოიღერე კისერი, თავისუფლება მიეც გულ-მკერდს - ჰსუნთქე მსუბუქი ჰაერი... დაიჭირე მზის სხივები, მიაჰყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ყნოსვით!” /ნ. ლორთქიფანიძე/, რადგან ”თავისუფლება ლომთა ხვედრია”...